


№14 / 2009წ / ყოველთვიური ჩანართი

# აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა



ლევან გობაძე

2009 წლის თებერვლის ბოლოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულმა სამინისტროებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმებს. ყველა სამინისტროსთან გაფორმდა ინდივიდუალური მემორანდუმი, რომლებიც მესამე სექტორის წარმომადგენლებმა საკუთარი საქმიანობის სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩია.

პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატვა“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ დიდი ხანია თანამშრომლობს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან. სწორედ ამ თანამშრომლობიდან გამომდინარე „ინტელექტმა“ ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს აღნიშნულ სამინისტროსთან მოაწერა. შესაბამისად, სტატიაში ყურადრება გამახვილებული იქნება აღნიშნული სამინისტროსა და მესამე სექტორის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკულ ასპექტებზე.

ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების იდეის ავტორად ორივე მხარე მოიაზრება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჯგუფი, რომელშიც შედის რეგიონში მოქმედი 11 ორგანიზაცია (მემორანდუმის სრული ტექსტი იხილეთ ამავე ჩანართში). მემორანდუმი ორივე მხარის ინტერესების გამომხატველია.

სამინისტრომ მემორანდუმის გაფორმების შესახებ გადაწყვეტილება ორგანიზაციული განვითარების 2009-2011 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმა შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, საჯარო სამასახურის რეფორმის (PAR) ფარგლებში. ტექნიკური დახმარების პროცესში PAR-თან ერთად მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს შეფასების ასოციაცია.

მიუხედავად იმისა, რომ იდეა ყველასთვის მისაღები იყო, მემორანდუმი არაქმედითი აღმოჩნდა, რაზედაც უკმაყოფილებას თავად ხელისმომწერი ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ:

**ლევან გობაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე:** „მესამე სექტორის წარმომადგენლებს სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობის არაერთი მცდელობა გვქონდა, თუმცა ეს მცდელობები არ იყო წარმატებული. სწორედ ამიტომ მემორანდუმის გაფორმებას თავიდანვე სკეპტიკურად ვუყურებდი. იყო დებატებიც, მაგრამ საბოლოოდ თანამშრომლობის იმედით ხელი მაინც მოვაწერეთ.

თვითონ მემორანდუმი არის ნების გამოხატულება ორივე მხრიდან თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ დაინტერესებული ვართ ვითანამშრომლოთ სამინისტროსთან. თანამშრომლობის სურვილი იმითაც არის განპირობებული, რომ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობები მჭიდროდ არის დაკავშირებული საბიუჯეტო და ზოგადად ეკონომიკურ სფეროსთან, რაც თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობას სამინისტროსთან. შეხვედრის ჩატარების იდეით სამინისტროს წერილობით მივმართეთ. ამ შეხვედრაზე გვინდოდა გაგვესაზღვრა სფეროები, სადაც შეიძლებოდა ჩართული ყოფილიყო არასამთავრობო ორგანიზაციები. პასუხად კი მივიღეთ, რომ ჯერჯერობით კონცეფცია, რომელიც შეიმუშავა სამინისტრომ შესწავლის პროცესშია, დარიგებულია განყოფილებების ხელმძღვანელებთან და როცა პროცესი დამთავრდებოდა შეხვედრაც ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი.

სამინისტრომ შენიშვნებისთვის გადმოგვიგზავნა სტრატეგიული გეგმაც, რომელზეც დაიწერა შენიშვნები და სამინისტროს უკან დაუბრუნდა, მაგრამ სამწუხაროდ შემდეგი ნაბიჯები ამას აღარ მოჰყოლია. მე ამ ეტაპზე არ ვარ ჩამოყალიბებული - საბოლოოდ გადავუსვათ ხაზი ამ მემორანდუმს და დენონსირება გავუკეთოთ მას, თუ კიდევ ვიფიქროთ სამომავლო თანამშრომლობაზე.

მემორანდუმი არ ნიშნავს იმას, რომ ინიციატივები მარტო ერთი მხრიდან უნდა წამოვიდეს. ინიციატივა რომ წამოვიდეს საჭიროა შეხვედრა და პრიორიტეტების განსაზღვრა, ასევე შეთანხმება, თუ რა სფეროში ვაპირებთ თანამშრომლობას. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ არც ერთი შეხვედრა არ შემდგარა. მე პირადად, როგორც საკონსულტაციო ჯგუფის კოორდინატორი, შევეცდები შეხვედრის ინიციატორი ვიყო. რადგან არის მთელი რიგი საკითხები, რომელთა შეთავაზება არასამთავრობოებს შეგვიძლია და პირიქითაც, რომელთა მოგვარებაც მათ კომპეტენციაში შედის. ამიტომ თანამშრომლობა უნდა შედგეს. ჯერ არ ვიცი როგორ და რანაირად, მაგრამ საჭიროა აუცილებლად.“

**თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ხელმძღვანელი - ასლან ჭანიძე** უკმაყოფილოა სამინისტროსთან თანამშრომლობით და ფიქრობს, რომ ეს არ იყო ნების გამოხატვა სამინისტროს მხრიდან, რადგან თანამშრომლობის სხვა სახის მცდელობები კრახით დასრულდა - „როდესაც გაიმართა შეხვედრა მემორანდუმის საკითხების განსახილველად ყველამ დააფიქსირა, რომ ეს მემორანდუმი არ იმუშავებდა. ამის თქმის საფუძველს იძლეოდა გამოცდილება, რომელიც, რევოლუციის შემდეგ, არაერთხელ მივიღეთ ამ მთავრობასთან ურთიერთობისას. დღეისათვის მემორანდუმი დარჩა მხოლოდ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ფორმალურ სახეს ატარებს. მზაობა საზოგადოებრივი სექტორის მხრიდან თავიდანვე იყო, მაგრამ რამდენად სურდა სახელისუფლებო სტრუქტურას ამ მემორანდუმის პუნქტების განხორციელება – ეს საკითხავია.

ხელმოწერილი დოკუმენტით გათვალისწინებული იყო შეხვედრები საკონსულტაციო ჯგუფთან, მაგრამ ყველა უკმაყოფილოა იმ პოზიციით, რომელიც სამინისტროს უკავია. მართალია, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მოგვაწოდა სტრატეგიული გეგმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა გააკეთეს შენიშვნები (რომლებიც გაეგზავნა სამინისტროს), მაგრამ რამდენად გაითვალისწინეს ეს შენიშვნები არ ვიცი. მე პირადად მემორანდუმზე ხელის მოწერით ვერფერი მივიღე, რადგან არსამთავრობოთა მხრიდან თანამშრომლობისათვის მზაობა ყოველთვის იყო, სამინისტროს თუ მხოლოდ გაფორმებული ვარიანტი ჭირდებოდა და არა საქმე ეგ სხვა საკითხია.

თავიდანვე განისაზღვრა, რომ პროცესში ჩართული უნდა ყოფილიყო არამარტო სამინისტროები, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაც, თუმცა მათი მზაობა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისა გამოჩნდა პირველივე შეხვედრაზე, რომლის ორგანიზატორი გახლდათ USAID-ი. დაგეგმილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მთავრობის თავმჯდომარესთან და მისნისტრებთან შეხვედრა. თუმცა განათლების მინისტრის გარდა, არც ერთმა მინისტრმა და არც მთავრობის თავმჯდომარემ არ ისურვა შეხვედრაზე მოსვლა. ხოლო წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემა მინისტრის მოადგილეებს უწევდათ, რომლებიც ხშირად საქმის ყურშიც არ იყვნენ.“

**ნათია აფხაზავა, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი:** „თავად ფაქტი, რომ სახელმწიფო წამოვიდა რაღაც სახის თანამშრომლობაზე კარგია, მაგრამ რამდენად სრულდება მემორანდუმით გათვალისწინებული აქტივობები ეს სხვა საკითხია. უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობა ვერ შედგა და ამ საკითხში ორივე მხარის ბრალეულობა იკვეთება. არასამთავრობო სექტორიც მთელი ამ დროის მანძილზე პასიურობდა. თავიდან იყო მცდელობა, რომ გავერთიანებულიყავით სტრატეგიული გეგმის ირგვლივ და ერთმანეთთან კონსულტაციის შემდეგ დაგვეწერა შენიშვნები, მაგრამ ვერ მოხერხდა. ყველა ცალკეული რეკომენდაციების შემუშავებით შემოიფარგლა.

მემორანდუმი, როგორც უკვე აღინიშნა, არის ორ მხარეს შორის შეთანხმება და გარკვეული პასუხისმგებლობის აღება. მემორანდუმის ხელისმომწერნი ერთიანდებიან საერთო მიზნის ირგვლივ და მათ ურთიერთობას მემორანდუმის სახით ცივილურ ჩარჩოში აქცევენ. ორივე მხარემ აიღო ვალდებულება მიელო და გაეცა რეკომენდაციები, რომელიც მეტნაკლებად შესრულდა.“

**რუსუდან ყიფიანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:** „თანამშრომლობა რომ შემდგარიყო ძალიან კარგი იქნებოდა, რადგან მემორანდუმის ხელისმომწერ ორგანიზაციებს შეეძლოთ ყველა კუთხით კონსულტაციების მიცემა. ჩვენ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, იურიდიული კუთხით შეგვეძლო დახმარების გაწევა: კანონპროექტების მომზადება, მონიტორინგის განხორციელება და ა.შ. “საია”-მ ყველა სამინისტროსთან მოაწერა ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს, მაგრამ მარტო ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან კი არა, ყველა სხვა უწყებასთან მემოანდუმი არაქმედითია. პირველ შეხვედრაზე ყველა დადებითად შეხვდა ფაქტს, გავეცანით სტარატეგიულ გეგმასაც, მაგრამ იდეის ატაცება ვერ მოხერხდა, რაშიც ორივე მხარეა დამნაშავე.“

**სულხან ჯორთმენაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე:** „მემორანდუმი ორ მხარეს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მიზნით. სამინისტრომ შენიშვნებისთვის უკვე დაუგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სტრატეგიული გეგმა, ჩვენ მივიღეთ შენიშვნები და უახლოეს მომავალში იგეგმება განხილვები, რომელზეც დიალოგის რეჟიმში იქნება აზრების გაცვლა. სამომავლოდ კი ორივე მხარემ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება აეწყოს ჩვენი ურთიერთობები.

**ეკა ბახტაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე** ამბობს, რომ შეხვედრების მოწყობის ინიციატორი მარტო სამინისტრო არ უნდა იყოს, ინტერესი ორივე მხარისგან უნდა მოდიოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი შეხვედრა ვერ შედგა, სამინისტროს ჰქონდა ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ - „ინტელექტთან“, ველური ბუნების დაცვის საზოგადოებასთან - „ჭაობი“. მისივე განცხადებით, სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში სამინისტრომ გამართა ოთხი დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ მიზნობრივი ჯგუფები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც. სამინისტრომ დაინტერესებული მხარეებიდან ოცდაათამდე კომენტარი და რეკომენდაცია მიიღო. მიღებულმა წინადადებებმა მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ასახვა ჰპოვა სტრატეგიულ გეგმაში.

საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციების მიერ წაყენებულ ბრალდებაზე, რომ სამინისტროს მხრიდან თავიდანვე არ იყო მზაობა თანამშრომლობისათვის, მინისტრის თანაშემწე პასუხობს: „ამისათვის აუცილებელია ორმხრივი დაინტერესება. სამინისტრო ყოველთვის მზადაა ითანამშრომლოს ყველა ორგანიზაციასთან და ვფიქრობ 28 ივლისს გამართული საჯარო შეხვედრა უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საწყისი გახდება. სამინისტრო ეცდება თავისი საქმიანოდა უფრო აქტიური გახადოს ამ მიმართულებით“.

28 ივლისს აღნიშნული შეხვედრა გაიმართა. რომელზეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა საზოგადოებას 2009-2011 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმები წარუდგინეს. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ლევან ვარშალომიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე, აჭარის მინისტრთა კაბინეტი, სამოქალაქოს საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები, გამგებლები და მოსახლეობა. მაგრამ ამ შეხვედრის შესახებ ჩვენი ჩანართის შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.



ნათია აფხაზავა



რუსუდან ყიფიანი

# ურთიერთგაგების მემორანდუმი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფს შორის

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, შემდგომში - „სამინისტრო" და მეორეს მხრივ აჭარაში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფს, შემდგომში - „საკონსულტაციო ჯგუფი", შორის. საკონსულტაციო ჯგუფი აერთიანებს შემდეგ ორგანიზაციებს: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ბათუმის ფილიალი, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ბათუმის ფილიალი, აჭარის ტურიზმის ასოციაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი", სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ბათუმის ფილიალი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ასოციაცია, ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი", თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი, შავი ზღვის ეკო-აკადემია, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, საერთაშორისო განათლების ცენტრი.

**ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაშია:**
2008 წლის დეკემბრიდან – 2009 წლის დეკემბრამდე

**მიზანი:**
ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონიმიკის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დიალოგის გაძლიერება და თანამშრომლობის გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დახვეწას, მოქალაქეთა მონაწილეობას სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გაუმჯობესებულ სამოქალაქო მომსახურებას.

**მხარეთა საერთო ინტერესები**

**სამინისტრო და საკონსულტაციო ჯგუფი თანხმდებიან საერთო ინტერესებზე:**

• ითანამშრომლონ სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. რაც მიზნად ისახავს 3 წლიანი სტარატეგიული გეგმის შემუშავებას, რათა სამინისტრომ დახვეწოს ინსტიტუციური შესაძლებლობები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უკეთესი მომსახურებისათვის და საკუთარი მისიის ეფექტური განხორციელებისათვის.

• შედგეს დიალოგი სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, სადაც საკონსულტაციო ჯგუფი შეასრულებს მედიატორის როლს.

• ითანამშრომლონ სამინისტროს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში და მიაწოდონ რეკომენდაციები სტრატეგიული გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

**მხარეები ერთობლივად თანხმდებიან შემდეგზე:**

• საკონსულტაციო ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრაზე, რათა განიხილოს სამინისტროს სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვარიანტი და მიაწოდოს სამინისტროს რეკომენდაციები და შენიშვნები სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვარიანტთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები გაიმართება 2009 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრამდე

• სამინისტრო და საკონსულტაციო ჯგუფი ითანამშრომლებენ სამინისტროს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში. ინფორმაციის გაცვლის, მომავალი აქტივობების დაგეგმვის და სტრატეგიული გეგმის განხორციელების განხილვის მიზნით, სამინისტრო და საკონსულტაციო ჯგუფი ჩაატარებენ ყოველთვიურ შეხვედრებს: იანვარი 2009 — დეკემბერი 2009.

• სამინისტროს სტრატეგიული გეგმის პირველი წლის ბოლოს, სამინისტრო და საკონსულტაციო ჯგუფი ჩაატარებენ 2 შეხვედრას სამინისტროს დაინტერესებულ მხარეებთან, მათგან მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების კუთხით (პოლიტიკის განსაზღვრა და მოქალაქეთა მომსახურება) რეკომენდაციების მისაღებად. ნოემბერი/დეკემბერი 2009.

**მხარეთა პასუხისმგებლობა**

**სამინისტრო ქმნის სამუშაო ჯგუფს საკონსულტაციო ჯგუფთან თანამშრომლობისათვის და ასევე ნიშნავს საკონტაქტო პირს.**

**სამინისტრო პასუხისმგებელია:**

• ატყობინებს საკონსულტაციო ჯგუფს დაინტერესებული მხარეების შეხვედრის დროსა და ჩატარების ადგილს. შეხვედრა გაიმართება 2009 წლის იანვარში.

• აცნობს სტრატეგიული გეგმის, სტრატეგიული მიზნების სამოქმედო გეგმების, შესრულების მონიტორინგის გეგმის სამუშაო ვარიანტებს საკონსულტაციო ჯგუფს.

• ერთობლივი განხილვის საფუძველზე შეაქვს სტრატეგიულ გეგმაში საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მოწოდებული შენიშვნები და რეკომენდაციები.

• აწყობს ყოველთვიურ შეხვედრებს საკონსულტაციო ჯგუფთან: აყალიბებს და ათანხმებს საკონსულტაციო ჯგუფთან შეხვედრის გრაფიკს.

• მოთხოვნის შესაბამისად აწვდის საკონსულტაციო ჯგუფს ინფორმაციას სტრატეგიული დაგეგმვის ან/და სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

• უზრუნველყოფს მინისტრის ან/და სამინისტროს მაღალი მმართველობითი რგოლის სხვა წარმომადგენლების მონაწილეობას რეგულარულ (ყოველთვიურ) შეხვედრებზე საკონსულტაციო ჯგუფთან

**საკონსულტაციო ჯგუფი მოქმედებს ზემოთ ჩამოთვლილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელით და შედგება თითოეული ორგანიზაციის 2 წევრისაგან. ამასთან, საკონსულტაციო ჯგუფში ასახელებს საკონსულტაციო ჯგუფის კოორდინატორს სამინისტროს სამუშაო ჯგუფთან კომუნიკაციისათვის.**

**საკონსულტაციო ჯგუფი პასუხისმგებელია:**

• მიიღოს მონაწილეობა სამინისტროს სტრატეგიული გეგმის განხილვისათვის გამართულ დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებში და მიაწოდოს სამინისტროს რეკომენდაციების პაკეტი სამინისტროს სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით.

• მონაწილეობა მიიღოს ყოველთვიურ შეხვედრებში; განიხილოს სამინისტროს სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესი და მიაწოდოს სამინისტროს რეკომენდაციები.

• სამინისტროს სტრატეგიული გეგმის პირველი წლის ბოლოს, საკონსულტაციო ჯგუფი ჩაატარებს 2 შეხვედრას სამინისტროს დაინტერესებულ მხარეებთან, მათგან მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების კუთხით (პოლიტიკის განსაზღვრა და მოქალაქეთა მომსახურება) რეკომენდაციების მისაღებად. ნოემბერი/დეკემბერი 2009.

• საკონსულტაციო ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას მემორანდუმში მოყვანილ შეხვედრებთან და ღონისძიებებთან დაკავშირებით.

**დასკვნითი დებულებები**

• მემორანდუმს ხელს აწერენ, ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი და, მეორეს მხრივ, სამოქალაქო ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენელი.

• საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

ურთიერთგაგების მემორანდუმის მხარეთა ხელმოწერები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო:
მინისტრი: ვაჟა ბოლქვაძე
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფი
საკონსულტაციო ჯგუფის კოორდინატორი: ლევან გობაძე

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართი**



• მონაწილეობა მიიღოს ყოველთვიურ შეხვედრებში; განიხილოს სამინისტროს სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესი და მიაწოდოს სამინისტროს რეკომენდაციები.

• სამინისტროს სტრატეგიული გეგმის პირველი წლის ბოლოს, საკონსულტაციო ჯგუფი ჩაატარებს 2 შეხვედრას სამინისტროს დაინტერესებულ მხარეებთან, მათგან მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების კუთხით (პოლიტიკის განსაზღვრა და მოქალაქეთა მომსახურება) რეკომენდაციების მისაღებად. ნოემბერი/დეკემბერი 2009.

• საკონსულტაციო ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას მემორანდუმში მოყვანილ შეხვედრებთან და ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დასკვნითი დებულებები

• მემორანდუმს ხელს აწერენ, ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი და , მეორეს მხრივ, სამოქალაქო ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენელი.

• საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

ურთიერთგაგების მემორანდუმის მხარეთა ხელმოწერები

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო:**

მინისტრი: ვაჟა ბოლქვაძე

**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფი**

საკონსულტაციო ჯგუფის კოორდინატორი: ლევან გობაძე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკისსამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართი

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი"**
ლევან გობაძე
მიხეილ ანანიძე

**საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი**
ვაჟა მეგრელიძე
მირზა ოსმანიძე

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი**
რუსუდან ყუფიანი
მაია ქათამაძე

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი**
ირაკლი ანანიძე
ნათია აფხაზავა

**საერთაშორისო განათლების ცენტრის ბათუმის წარმომადგენლობა**
ნინო ინაიშვილი
გიორგი თავამაიშვილი

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ბათუმის ფილიალი**
მადონა ბერიძე
იამზე ხასაია



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკისსამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართი

**შავი ზღვის ეკო-აკადემია**
გულნაზ სურმანიძე

**აჭარის ტურიზმის ასოციაცია**
ზვიად ელიზბარი
ზვიად დიასამიძე

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ასოციაცია**
შორენა ნიჟარაძე
გოჩა კამკია

**ველური ბუნების დაცვის საზოგადოება "ჭაობი"**
იზო მაჭუტაძე
ჯულიეტა ჯაყელი

**თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი**
ასლან ჭანიძე
თენგო ჯორბენაძე

**ითვალისწინებს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობის აზრს ბიუჯეტის შედგენის დროს?**



**ინგა კაჭახმაძე, სოფელი ხალა** – „ძირითადად რასაც ადგილობრივი ხელისუფლება ჩათვლის საჭიროდ ის კეთდება. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნებიც ხშირად გათვალისწინებულია. ხალას თემის მოსახლეობას უნდოდა კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ბიუჯეტში კი ეს გაითვალისწინეს".



**ზურაბ ვარშანიძე, სოფელი თხილნარი** – „მოსახლეობის მოთხოვნები მეტნაკლებად უნდა იყოს დაკმაყოფილებული, ყველა თუ ვერა, ძირითადი და მტკივნეული პრობლემები მაინც. ყველა საკითხი რასაც მოსახლეობა მოითხოვს იმის შესრულება რთულია, რაც არ უნდა მონდომებული იყოს ხელმძღვანელი თანხების არ არსებობის გამო შესაძლოა მიზანს ვერ მიაღწიოს".



**ნანული თურმანიძე, სოფელი ჭახათი** - „მინდა მჯეროდეს, რომ ითვალისწინებენ, რადგან მთავრობას ხალხი ირჩევს და ვფიქრობ, რომ ხალხს თუ მოუსმენენ და ისე გააკეთებენ ყველაფერს მათი მოვალეობა პირნათლად იქნება შესრულებული".



**ედუარდ ქავჟარაძე, სოფელი ხალა** - „ქობულეთის გამგეობის წარმომადგენლები ბიუჯეტის შემუშავების წინ მოვიდა ხლხთან და გააცნო რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ, რაც აქამდე არ ხდებოდა. სწორედ ამის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ითვალისწინებენ".

**საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"**

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა"
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge